პროფ. დოქ. ჰურიე მართი

სიკეთე და ქველმოქმედება

ქველ
რსს
მეგობრობა

სიყვარე და ერთმოქედება

პროფ. დოქ. ბუხარე მაჩო�d

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim international charity

ISLAMI MUSLIM GEORGIA INTERNATIONAL CHARITY FOUNDATION
RUSSIA
MUSLIM GEORGIA INTERNATIONAL CHARITY FOUNDATION

დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა
თამაზ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن دولي مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

„არაბეთის ნახევარკუნძულის ცხელ კლიმატში წყალს სიცოცხლეს ეძახიან. უდაბნოს სიცხე ადამიანებს უმეტესწილად წყლის გარეშე ამყოფებს და წყალს მონატრებული ტომები ხშირად მხოლოდ წყლის გულისათვის ერთმანეთთან ომობდნენ. მედინაში, მექასთან შედარებით, სიგრილე იყო, მაგრამ წყლის მნიშვნელობა უცვლელი იყო.

ყველა მედინელისთვის წყალი ძალიან ძვირფასი იყო. ბუნებრივია ასე იყო ებუ ტალჰასთვისაც, რომელიც შუამავლის მსახურის, ენესის მამინაცვალი იყო. ხალხის სარჩოს ხურმის ბაღები წარმოადგენდა, ხოლო ხურმას წყალი ჭირდებოდა. მეჩეთის მოპირდაპირე მხარეს ხურმის ბაღი იყო, რომელსაც ბეირუჰა ეწოდებოდა. ამ ბაღში არსებული ჭა ყველაზე გემრიელ წყალს იძლეოდა. როდესაც სიცხე ირგვლივ ყველაფერს წვავდა, ებუ ტალჰა ამ ჭიდან ამოღებულ წყალს შუამავალსა და მის მეგობრებს მიართმევდა ხოლმე. ებუ ტალჰას ეს ბაღი ძალიან უყვარდა და არავისზე მიყიდვას არ ფიქრობდა.

ერთ დღეს ღმერთმა აიათი მოავლინა: „ვერასდროს მიაღწევთ ღვთისნიერებას, თუ არ გაიღებთ იმას, რაც გიყვართ. და რაც უნდა გაიღოთ, უეჭველად, ალლაჰმა უწყის იგი!“ (ალი იმრან 23/92) ამ აიათმა ებუ ტალჰაზე ძალიან იმოქმედა. ის ძალიან მამაცი მეომარი იყო, რომელმაც მარავალგზის მკერდით გადაეფარა შუამავალს. მან გადაწყვიტა აიათის მოწოდებას მიჰყოლოდა და თავისი ხურმის ბაღი, რომელიც ყველაზე მეტად უყვარდა ღარიბებს შესწირა.

ეს იყო ძალიან სასარგებლო ქველმოქედება, დიდი სიკეთე და რა ბედნიერი იყო ის ადამიანი, რომელმაც ღვთის გზაზე მისი გაღება შეძლო. როდესაც შუამავალმა გაიგო ებუ ტალჰას გადაწყვეტილება ძალიან გაუხარდა და ბრძანა, რომ ამ საჩუქრით ებუ ტალჰას ღარიბ ნათესავებს ესარგებლათ. დღეს ეს ბაღი შუამავლის მეჩეთშია მოქცეული და ის მრავალი წლის განმავლობაში ქველმოქმედების ნიმუშს წარმოადგენს“.

რა არის სიკეთე?

ცხოვრება მოგზაურობაა სიკეთისთვის. ადამიანიც ამ ქვეყნად მოვლენილია, რათა იწამოს და აკეთოს კეთილი საქმენი. ღმერთმა გააჩინა ადამიანი, უწყალობა სარჩო და მრავალი უნარები, იცავს მას და სასიცოცხლო გარემოს უქმნის. ღმერთმა ადამიანთან ერთად გააჩინა სიცოცხლე და სიკვდილი, რათა ადამიანი გამოეცადა. სიცოცხლე ადამიანისთვის სიკეთის გამოცდაა. (იხ. მულქ 67/2)

ღმერთი ადამიანებს სიკეთის კეთებისკენ მოუწოდებს და ბრძანებს, რომ მას უყვარს სიკეთის მკეთებელნი. ვინც ფიქრობს, რომ ცხოვრება სიკეთის მოგზაურობაა, საბოლოოდ ისინი მიაღწევენ უმაღლეს მიზანს, რასაც ღვთის კმაყოფილება, მისი სიყვარული ჰქვია. წინააღმდეგ შემთვევაში ადამიანის ცხოვრება იმედგაცრუებების ჯაჭვად გადაიქცევა. სიკეთის მკეთებელნი სიკეთითვე დაჯილდოვდებიან, ხოლო ბოროტების მსახურთა ხვედრი ძალიან სავალალოა.



სიკეთე ის ნაყოფია, რომელიც მიწაზე დაცემის შემდეგ განაყოფიერდება, ამოვა, გაიზრდება და ათასობით ახალ ნაყოფს გამოიღებს.

რწმენა და ისლამი
სიკეთისკენ
მოწოდებაა. სიკეთე
ზოგჯერ
ზნეობრივი საქციელით,
ზოგჯერ
ქველმოქმედებით,
ზოგჯერ მოწყალებით,
ზოგჯერ ერთი ღიმილით,
ზოგჯერ ჩახუტებით,
ზოგჯერაც ტკბილი
სიტყვითა და
კეთილგანწყობით
გამოიხატება.
მისი გამოხატვის ფორმა
შეიძლება შეიცვალოს,
მაგრამ
მისი მნიშვნელობა
არასოდეს შეიცვლება.

„ის, ვინც წარსდგება კეთილი საქმეებით, მიიღებს უკეთესს, ხოლო რომელნიც წარსდგებიან ავი საქმეებით, მიიღებენ თავიანთი საქმეების საფასურს!“ (კასას 28/84)

სიკეთე ის ნაყოფია, მიწაზე დაცემის შემდეგ განაყოფიერდება, ამოვა გაიზრდება და ათასობით ახალ ნაყოფს გამოიღებს. სიკეთე აუცილებლად რაიმე სახის თავგანწირვასთანაა დაკავშირებული, ამიტომ ის შესაბამისად დაფასდება. ყურანში ნაბრძანებია:

„იმათთვის, ვინც თესა სიკეთე , უფრო უკეთესი და მეტიც . არ იქნება მათ სახეებზე არც მტვერი და არც დამცირება. აი, ეგენი არიან სამოთხის მკვიდრნი, სადაც სამუდამოდ დაჰყოფენ!“ (იუნუს 10/26)

სიკეთე ადამიანის ცხოვრების ყველა ეტაპზე უკიდურესად მნიშვნელოვანია. ადამიანი დაბადებიდანვე ირგვლივმყოფებისგან სიკეთეს და კეთილგანწყობას ელოდება. ბავშვებიც ირგვლივმყოფებისგან მუდმივად სიკეთის მომთხოვნი და მომლოდინენი არიან. იგივე ეხებათ ახალგაზრდებსა და ზრდასრულ ადამიანებს. ადამიანები ირგვლივ სულ

სიკეთე ადამიანის
ცხოვრების
ყველა ეტაპზე
უკიდურესად
მნიშვნელოვანია.
ადამიანი
დაბადებიდანვე
ირგვლივმყოფებისგან
სიკეთეს და
კეთილგანწყობას
ელოდება.
ბავშვებიც
ირგვლივმყოფებისგან
მუდმივად
სიკეთის მომთხოვნი
და მომლოდინენი
არიან.

სიკეთის მოლოდინითა და მისი მეშვეობით ახერხებენ ცხოვრებას; ოჯახში იქნება, სამსახურში, ქუჩაში თუ სხვაგან.

როგორც მიწა იკვებება წვიმის წყლისა და მზისგან, ისეა ადამიანიც, რომელსაც მუდმივად სჭირდება სიკეთე. მოკლედ, ადამიანის ცხოვრება სიკეთის გათავისება და მისი განსახიერებაა. ცხოვრების მგზავრი თავის ნებისმიერ გაჩერებამდე სიკეთის მეოხებით აღწევს და სიკეთითვე აგრძელებს გზას.

სიკეთის ნიობა

სიკეთე ადამიანის გაჩენის არსშია მოთავსებული. რაც შეეხება ბოროტებას, ის ადამიანის ბედნიერებისკენ ლტოლვის წინააღმდეგ მიმართული ყველაზე დიდი დაბრკოლებაა. ნევვას ბინ სემმა შუამავალს ჰკითხა თუ რა იყო სიკეთე და ბოროტება.

შუამავალმა უპასუხა: „სიკეთე ლამაზი ზნეა, ხოლო ბოროტება ის არის, რაც სინდისს აწუხებს და არ გვინდა ადამიანებმა გაიგონ“. (იხ. მუსლიმ, ბირ,

სიკეთე ნიშნავს იყო მარტოსულისთვის მეგობარი, დაქანცულისთვის დასაყრდენი და უსახლკაროსთვის თავშესაფარი

15) შუამავალი ასევე ბრძანებს: „ცუდ სიტყვას და ქცევას ისლამში ადგილი არ აქვს. ყველაზე კარგი ისაა, ვისაც საუკეთესო მორალი გააჩნია“. (იბნ ჰანბელ, 5/100)

ამრიგად რწმენა და ისლამი სიკეთისკენ მოწოდებაა. სიკეთე ზოგჯერ ზნეობრივი საქციელით, ზოგჯერ ქველმოქმედებით, ზოგჯერ მოწყალებით,ზოგჯერ ერთი ღიმილით,ზოგჯერ ჩახუტებით, ზოგჯერაც ტკბილი სიტყვითა დაკეთილგანწყობით გამოიხატება. მისი გამოხატვის ფორმა შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ მისი მნიშვნელობა არასოდეს შეიცვლება.

სიკეთე მცდელობაა საიმისოდ, რომ ადამიანი კარგი იყოს. ქველმოქმედების დროს ადამიანი სამაგიეროს მხოლოდ ღმერთისგან ელოდება და ეს არის რწმენისა და ღვთისმსახურების გამოხატულება. ქველმოქმედებაა, რომელიც ღმერთთან დაახლოების გზაზე, მისი კმაყოფილებისათვის ბრძოლის გზაზე გვეხმარება. ყველა ღვთისმსახურება სიკეთეა, დიდი სიკეთე. ლოცვად დადგომა, სეჯდეს შესრულებისას ღვთის წინაშე საკუთარი უმწეობის დემონსტრირება, მარხვა, მოწყალების გაცემა, ან კიდევ მარტო ჩამოჯდომა და ღვთის სახელის ხსენების კვალდაკვალ ცრემლის ღვრა... ეს ყველაფერი ღვთისმსახურებაა, სიკეთეა.

სიკეთეა, როცა ბოროტებას თავს ავარიდებთ. თანამედროვე ეპოქამ მრავალი დაავადება მოიტანა. მათზე თავის არიდებაც სიკეთეა. ბოროტებას, მეამბოხეობას, ცოდვების ჩადენას უნდა მოვერიდოთ, რათა სიკეთემ დაისადგუროს. ჩვენ უმდა მოვერიდოთ დაუმსახურებელ შემოსავლებს, რადგან ისინი გარჯას ფასს უკარგავენ. ჩვენ არ უნდა მოუსმინოთ ეშმაკის ცდუნებებს. საამისოდ კი სათნოების ქვეშ უნდა ვიმოქმედოთ და ღმერთის ნებას მიკედლე-

ბულებმა მოთმინებით გავაგრძელოთ ცხოვრების გზა.

სიკეთეა მარტოსულისთვის მეგობრობა, დაქანცულისთვის ხელის გაწოდება და უსახლკაროსთვის თავშესაფრის მიცემა. სიკეთეა, როცა ლტოლვილებს საცხოვრებელს და ლუკმას გაუნაწილებ. სიკეთეა მგზავრის სახლშ მიპატიჟება და გამასპინძლება. სიკეთეა ბავშვზე გაღიმება და მოხუცებზე ხელის შეშველება.

სიკეთე უანგაროდ გაცემაა. სიკეთეა, როდესაც ადამიანი თავის შესაძლებლობებს, ენერგიას, გამოცდილებას, შრომას, ქონებას, სიყვარულს და შემწყნარებლობას უანგაროდ გასცემს. სიკეთე ზომიერებაა, მოკრძალებაა, თავგანწირვა და სამართლიანობაა. სიკეთე მოწყალებაა, შემწყნარებლობაა, მისალმება და ვედრებაა. სიკეთე მცენარის დარგვაა, მწყურვალე ცხოველებზე წყლის მიწოდებაა. მეზობელთან მიტანილი წვნიანის სუნში იგრძნობა სიკეთე. სიკეთე ერთმანეთს მომდურებული ადამიანების შერიგებაა. სიკეთე ალალი სარჩოს მოპოვება და ოჯახის გამოკვებაა.

მოკლედ, ცხოვრების დინებას თუ დააკვირდებით მის ყველა გამოვლინებაში სიკეთის დანახვა არის შესაძლებელი. ბაყარას სურას 117-ე აიათში ნაბრძანებია: „სიკეთე მარტოოდენ აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეს სახის მოპყრობით არ შემოიფარგლება. არამედ სიკეთე ისაა, ვინც ირწმუნა ალლაჰი და დღე უკანასკნელი, ანგელოზები, წიგნი და შუამავლები; უყვარს ქონება, მაგრამ მაინც ურიგებს ახლობლებს, ობლებს, უპოვრებს, მოგზაურებს, მთხოვნელებსა და მონებს ; ლოცვად დგება, ზექათს არიგებს, და ასრულებს პირობას, თუკი დებს მას; მოთმინებით იტანს უბედურებას, გასაჭირსა და განსაცდელს. სწორედ ეგენი არიან ერთგულნი და (ალლაჰის სასჯელისგან) დაცულნიც სწორედ ეგენი არიან“.

ეს მაგრამ ბოროტება?

სიკეთეზე საუბრის დროს რამოდენიმე სიტყვით ბოროტებასაც შევეხოთ. სიკეთის ანტონიმი ბოროტებაა, მაგრამ ის იმავე სიმაღლეზე არასოდეს დგას ანუ მისი ზუსტი საპირისპირო მეწყვილე არ არის და ვერ იქნება. ბოროტება

ყოველთვის ქვედა საფეხურზეა, დაბლაა, დაცემაა, უძლურებაა. სიკეთე კი სიმაღლეა, სიძლიერეა, სინათლეა. შუამავალი ასე გვირჩევს: „სადაც არ უნდა იყოთ, გეშინოდეთ ალლაჰის. როდესაც ბოროტებას ჩაიდენთ, მაშნვე სიკეთე გააკეთეთ, რათა ჩადენილი ბოროტება მოსპოს. ადამიანებს კარგად მოექეცით“. (იხ. თირმიზი, ბირ, 55)

გამომდინარე აქედან სიკეთეს გააძნია საიმისო ძალა, რომ ბოროტების მიერ გამოწვეული სულიერი და მატერიალური ზიანი გაანეიტრალოს. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ცოდვის ჩამდენს ისევ სიკეთე შველის, რათა ჩადენილი ცოდვა გამოასწოროს.

ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა, სულ მცირე, იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც სიკეთის კეთება. ყურანში ნაბრძანებია:

„ (ო, მორწმუნენო!) და იყოს ხალხი თქვენგან სიკეთისკენ მომწოდებელი, მბრძანები მოსაწონისა და უკეთურების აღმკვეთი, და სწორედ, ეგენი არიან ნეტარნი“. (ალი იმრან 3/104)

ყოველი მოქმედება, ყოველი პრევენციული ნაბიჯი, რომელიც ბოროტების

ყოველი მოქმედება, ყოველი პრევენციული ნაბიჯი, რომელიც ბოროტების გავრცელებას წინ აღუდგება სიკეთის შემადგენლობაში შედის. ვინც შეაჩერებს შურსა და ბოღმას, რომლებიც ძირითადად ბოროტებას კვებავენ, სიკეთეს აკეთებს.

გავრცელებას წინ აღუდგება სიკეთის შემადგენლობაში შედის. ვინც შეაჩერებს შურსა და ბოღმას, რომლებიც ძირითადად ბოროტებას კვებავენ, სიკეთეს აკეთებს. ბოროტების წინაშე გულგრილობა მიუღებელია, ხოლო მის წინააღმდეგ ხმის ამაღლება მუსლიმის თვისებაა. ამ გზით სიკეთე გავრცელდება და კაცობრიობა კეთილდღეობისკენ გადადგამს ნაბიჯს.

„სიკეთე ლამაზი მორალია“. ამ პრინციპით მოქმედება სიტყვის, ქცევისა და ჩვევების სასიკეთო ფორმებით გამოყენებას განაპირობებს, პარალელურად კი ბოროტების ალბათობა დაიკლებს.

ცუდი ქცევებისგან თავის შეკავება, ყველა არასორი გზის მიტოვება, უზნეობის წინააღმდეგ ხმის ამაღლება და მისი გავრცელებისთვის ხელის შეშლა, საბოლოო ჯამში, მასობრივი სიკეთის დამკვიდრებას უზრუნველყოფს. შესაბამისად ყოველი მორწმუნე ვალდებულია აკეთოს სიკეთე, იზრუნოს სიკეთის გამრავლებაზე და ამავდროულად წინ აღუდგეს ბოროტების გამოვლინებასა და მის გავრცელებას. ზოგჯერ ადამიანი ფიქრობს, რომ ბოროტების წინა-

მორწმუნეს ჩაგრულთა ქომაგობა, მათთვის ვედრება, მათი ტკივილის გაზიარება, სრულიედ უცნობი ადამიანების ბოროტების ჭაობიდან გამოხსნა და მათზე დახმარების ხელის გაწევა შეჰფერის.

muslim georgia volunteer shavi

აღმდეგ ბრძოლისთვის ძალა არ ეყოფა და ბოროტებას ვერ შეაჩერებს. არადა ბოროტების მოსპობის ყველაზე ეფექტური გზა სიკეთის გამრავლებაა. ეს კი, რაღაც დოზით, ყველას შეუძლია.

„არ არის თანასწორი სიკეთე და სიავე. დახვდი იმით, რომელიც საუკეთესოა. მაშინ იგი მტრობა, რაც შენსა და მას შორის იყო, გექცევა გულითად მეგობრად“. (ფუსილეთ 41/34)

ადამიანს სიკეთის კეთება შეჰფერის. ჩვენი სული სიკეთით იკვებება. როგორც მუსლიმებს სხვა რა მიზანი უნდა გვქონდეს, თუ არა ვიყოთ უფრო კარგი ადამიანები, ვაკეთოთ უფრო მეტი სიკეთე და ცხოვრების წიგნი

ღმერთმა ადამიანი სიკეთისკენ მიდრეკილი გააჩინა. მას სურს ადამიანებმა გაჰყვნენ ამ მიდრეკილებებს და ქვეყანაზე ცხოვრებისას სიკეთე მთავარ მიმართულებად აქციონ. ყოველი სიკეთე ღვთის წინაშე დაფასდება, ისევე როგორც ყოველი ბოროტება შესაბამის სასჯელს გამოიწვევს.

„და ის, ვინც იოტისოდენა სიკეთე მაინც ჰქმნა, იხილავს იმას (ჯილდოს მიიღებს)!

და ისიც,ვინც იოტისოდენა ავი ჰქმნა, იხილავს იმას (სამაგიერო მიეზღვება)! (ზილზალ 7-8)

როგორც შუამავალი გადმოგვცემს, ღმერთი ბრძანებს: „თუ ჩემი მსახური

სიკეთის გაკეთებას განიზრახავს და ვერ გააკეთებს, მე მას ერთ სიკეთეს ვუწყალობებ, მაგრამ თუ ამ სიკეთეს გააკეთებს, ერთი სიკეთის სამაგიეროდ ათიდან შვიდასამდე სიკეთეს ვარგუნებ. თუ ჩემი მსახური ბოროტებას განიზრახავს და მას არ გააკეთებს, ცოდვას არ დავუწერ და თუ გააკეთებს, მაშინ მხოლოდ ერთ ცოდვას ვარგუნებ“. (იხ. მუსლიმ, იმანი 204)

სიკეთით ეძიებოთ?

ბოროტება ვერასოდეს გაიმარჯვებს, რადგან სიკეთის უკან თავად გამჩენი დგას. ის მხარს უჭერს სიკეთეს და საბოლოოდ მაინც გაამარჯვებინებს. საკმარისია, რომ ადამიანს ამის სჯეროდეს და ღმერთს მიენდოს. ადამიანმა ყველა სიტყვასა და საქმეში მხოლოდ და მხოლოდ ღვთის კმაყოფილება უნდა დაისახოს მიზნად და ის საუკეთესოს მიიღებს.

ვის უნდა ვეძუკეთოთ სიკეთე?

დედამიწაზე ცხოვრების გასაუმჯობესებლად გადადგმული თითოეული ნაბიჯი სიკეთედ და ქველმოქმედებად შეიძლება შეფასდეს. „ადამიანს სიკე-

ტკივილს ვუჩივით?
ბოროტებას
ვაპროტესტებთ?
მაშინ სიკეთე
ვაკეთოთ და
გვჯეროდეს,
რომ სიკეთე
გადაგვარჩენს.

თე აცოცხლებსო“- ნათქვამია და შესაბამისად ადამიანს შეუძლია სიკეთის კეთება საკუთარი თავიდან დაიწყოს. ადამიაი ჯერ საკუთარ თავს სიკეთით უნდა მოექცეს, რათა შემდეგ უკვე სხვების მიმართ სიკეთის გაკეთება შეძლოს. ჯერ უნდა იწამოს, რომ სულში სიმშვიდემ დაისადგუროს. შემდეგ ღვთისმსახურებას უნდა ასრულებდეს, რომ სულიც და სხეულიც ჯანსაღი ჰქონდეს. განა სხვა რა შეიძლება იყოს ამაზე დიდი სიკეთე, როცა ადამიანის სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებს? ნამაზი, მარხვა, ჰაჯი, უმრე, ზექათი, ქველმოქედება, ეს ყველაფერი როგორც პიროვნების, ისე საზოგადოებისთის დიდად სასარგებლო ღვთისმსახურებაა.

მორწმუნე ღვთისმსახური ამავდროულად მზად უნდა იყოს გააკონტროლოს საკუთარი სიტყვა და ქცევა. ის მუდმივად უნდა ცდილობდეს შეიძინოს უფრო და უსფრო სასურველი ზნეობა და უარი თქვას მავნე ჩვევებზე. მორწმუნე მუდმივად უნდა ცდილობდეს იყოს მიმტევებელი, მომთმენი, მოსიყვარულე, შემწყნარებელი და სათნო ადამიანი. მისი მიზანი სიკეთისა და მაღალი ზნეობის კვალდაკვალ ღვთის კმაყოფილების მოპოვება უნდა იყოს.

შუამავალი ბრძანებს:

„არ ასცდეთ სიმართლის გზას. ჭეშმარიტია, რომ სიმართლე სიკეთისკენ, ხოლო სიკეთე სამოთხისკენ წაგიყვანთ. როდესაც ადამიანი მუდმივად სიმართლეს ამბობს და სიმართლეს ეძებს, ღვთის წინაშე მართლად ჩაიწერება. ტყუილს კი მოერიდეთ. ტყუილი ბოროტებისკენ, ბოროტება კი ჯოჯოხეთისკენ წაგიყვანთ. როდესაც ადამიანი ტყუილს ამბობს და სულ სიცრუეს ეძებს, ღვთის წინაშე ცრუდ ჩაიწერება“. (იხ. მუსლიმ,ბირ 105)

ადამიანის მიერ გაკეთებული სიკეთე ჯერ მასვე არგია, ხოლო შემდეგ გარემოში გავრცელდება და სხვებსაც არგებს. ყოველი მუსლიმი მოწინავე უნდა იყოს იმ თვალსაზრისით, რომ მის მიერ დაწყებული სიკეთე ირგვლივ გაიშალოს და ყველა სიკეთემ ახალ სიკეთეს დაუდოს სათავე. მუსლიმის ყოველ ქმედებას კარგი განზრახვა უნდა გააჩნდეს. ყოველი მისი ფიქრი, სიტყვა და საქციელი სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს. ოჯახში, ახლობლებში, საზოგადოებაში ყველა დამოკიდებულება სიკეთის საფუძველზე უნდა იყოს დამყარებული. შუამავალი ხაზგასმით ამბობდა რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახურ ურთიერთობებს და ადამიანებს შემწყნარებლობისაკენ მოუწოდებდა.

შუამავალი ბრძანებს:
„ვისაც სიკეთს
გაკეთება უხარია
და ბოროტების
ჩადენა აწუხებს,
ის მორწმუნეა“.

(იბნ ჰანბელ, 4/399)

შუამავალი ბრძანებს: „რასაც მი-ირთმევთ, მეუღლეებსაც ის უწილადეთ. რასაც იცვამთ, მეუღლეებსაც ჩააცვით. ფრთხილად, არ სცემოთ და არ გა-ლანძღოთ!“. (ებუ დავუდ, ნიქაჰ, 40-41) ის ასევე ამბობდა, რომ ვისაც პატარები არ უყ-ვარს და უფროსებს პატივს არ სცემს ჩვენიენი არ არისო. (იხ. თირმიზი, ბირ, 15)

შუამავალი განსაკუთრებულ ყურად-ღებას შვილებთან ურთიერთობას აქცევ-და. ამ მხრივ კი გამორჩეულად ქალიშ-ვილებთან ურთიერთობას ანიჭებდა მნიშვნელობას. „ინც სამ ქალიშვილს მოუვლის, აღზრდის, დააქორწინებს და კარგად მოექცევა, სამოთხეში შევა“. (იხ. ებუ დავუდ, ედებ 120-121)

ასევე ცნობილია შუამავლის განსა-კუთრებული დამოკიდებულება მშობ-ლების მიმართ. ის მრავალ რჩევა-და-რიგებას გვაძლევდა საიმისოდ, რომ მშობლების მიმართ პატივისცემა და სიყვარული გამოგვეჩინა. როდესაც მას კითხეს, რომ ყველაზე მადლიანი საქმე რა იყო, მან უპასუხა, რომ ესენი იყო თავის დროზე ნალოცი ნამაზი და მშობლების მიმართ კარგი ქცევა. (იხ. ბუჰარი, თევჰიდ 48)

მშობლების მიმართ სიკეთე,
თავისთავად სიკეთის
განსახიერებაა!

სიკეთის ჯაჭვში შემდეგ რგოლს მეზობლებისა და ნათესავების მიმართ სიკეთე წარმოადგენს. მეზობლებს განსაკუთრებული ადგილი აქვთ, ამიტომ მათდამი დამოკიდებულებაში სიკეთე აუცილებელი ფაქტორია.

შუამავალი ბრძანებს: „ვისაც სწამს ალლაჰისა და განკითხვის დღისა, მეზობლებს სიკეთით მოეპყროს“. (მუსლიმ, იმან 77) გამოდის რომ ჩვენი რწმენა მხოლოდ გულში კი არ უნდა გამოვკეტოთ, ის ჩვენს დამოკიდებულებებსა და ქცევებში უნდა აისახოს. რწმენასა და მორალს შორის ძლიერი კავშირია და ამ კავშირის გამოვლინება, სწორედაც რომ მეზობლებთან ურთიერთობაში ჩნდება. როგორც შუამავალი განმარტავს, თუ მეზობელი დაადასტურებს, რომ კონკრეტული პიროვნება კარგი ადამიანი იყო, ეს საიქიოში მისი გადარჩენის მიზეზი შეიძლება გახდეს. შუამავალი ბრძანებს: „როდესაც ერთი მუსლიმი გარდაიცვლება, მისი უახლოესი სამი ოჯახის ხალხი თუ დაადასტურებს, რომ ის კარგი ადამიანი იყო, დიადი ღმერთი ბრძანებს: ჩემი მსახურების დასტური იმის შესახებ, რაც მათ იციან, მივიღე, ხოლო ის, რაც მე ვიცი მივუტევე“. (იხ. იბნ ჰანბელ, 2/ 409)

აღნიშნული დამოკიდებულება ნათესავურ კავშირსაც ეხება. ნათესავების მიმართ კარგ დამოკიდებულებაში ყოფნა ღვთის კმაყოფილებას და ჩვენდამი წყალობას გამოიწვევს. ნათესავური კავშირების გაწყვეტა და უფრო მეტიც, მათდამი მტრული დამოკიდებულება მიუღებელი საქციელია, რაც ღვთიური წყალობის გარეშე დარჩენის საბაბი გახდება.

შუამავალი ასევე ბრძანებს: „ვინც ნათესავებთან კარგ ურთიერთობას გააგრძელებს, ღმერთიც მასთან ურთიერთობას შეინარჩუნებს, ხოლო ვინც ნათესავურ კავშირებს გაწყვეტს, ღმერთი მასთან გაწყვეტს კავშირს“. (იხ. თირმიზი, ბირ. 16)

ვინც ნათესავის ფასი იცის, ერთგულად დაუდგება გვერდში და მიუხედავად სიძნელეებისა ნათესავთან კავშირს არ გაწყვეტს. ასეთი ადამიანები შუამავლის შექების ღირსნი არიან: „ვისაც სურს წყალობის სიმრავლე და აღსასრულის დაგვიანება, ნათესავური კავშირები შეინარჩუნოს“. (ბუჰარი, ედებ 12)

ღმერთო გვარგუნე
ამქვეყნიური და საიქიო
სიკეთე. დაგვიფარე ჩვენ
ჯოჯოხეთის წამებისგან!

ნათესავობასა და სიკეთეს შორის კიდევ ერთი კავშირია. სიკეთის კეთებისას მიზეზის ძიება საჭირო არ არის და ამავდროულად არც სამაგიეროს უნდა დაველოდოთ. სიკეთისთვის სამაგიეროს თავად ღმერთი გასცემს და ეს არის უმაღლესი სამაგიერო. ნათესავმა სიკეთის კეთება რომც შეწყვიტოს, მორწმუნე ადამიანმა მაინც სიკეთე უნდა გაუკეთოს. (იხ. ბუჰარი, ედებ 15)

სიკეთე გადამდებია და ირგვლივ ვრცელდება. ობლებზე, ღარიბებზე, უსახლკაროებზე, ლტოლვილებზე, მოსწავლეებზე და სხვა საჭიროების მქონე ადამიანებზე დახმარების ხელის გაწოდება ადამიანს ღმერთთან დაახლოვებს. გაჭირვებულებს, მცირედითაც რომ იყოს, ცოტა ხნით თუ მაინც დავავიწყებთ თავიანთ გასაჭირს, ეს ღვთის წინაშე აუცილებლად დაფასდება. მორწმუნე ადამიანისთვის შესაფერისი ქცევა ყველა დაჩაგრულისათვის ვედრების აღვლენაა. ის მუდმივად უნდა ცდილობდეს გაჭირვებისგან დაიხსნას თანამორწმუნე ძმები, რათა შვებით ამოისუნთქონ.

ამით იმის თქმა გვინდა, რომ ადამიანის გაჩენის არსში დევს სიკეთის-

კენ მიდრეკილება და ყოველი სიკეთის ფაქტი არის იმის გამოვლინება, რომ ადამიანი ღვთის მიერ გაცენილია, როგორც ღირსეული არსება. ამიტომ სიკეთე უსაზღვროა, ამოუწურავია. ყველა არსება, უბრალო ჭიანჭველადან დაწყებული კარგად მოპყრობას იმსახურებს, რადგან ღმერთის გაჩენილია. შუამავალი ამბობს: „ყოველი არსების მიმართ გაკეთებული სიკეთისთვის თითო მადლი იწერება“. (იხ. ბუჰარი, მუსაქათ, 9)

სიკეთე მოქმედებს არა მხოლოდ ადამიანებს შორის არსებულ ურთიერთობებში, არამედ ყველა არსებისა და ზოგადად გარემოს მიმართ ნებისმიერ დამოკიდებულებაში. სამყაროს ყველა დეტალში უზენაესის უზადო ხელოვნების დანახვა ადამიანებს ეხმარება იმის აღმოსაჩენად, თუ რაოდენ დიდი სიკეთე მიანიჭა ღმერთმა ადამიანს. ცა, დედამიწა, ჰაერი, წყალი, ბუნება, ცხოველები, მოკლედ ყველაფერი ადამიანისთვის წყალობაა და ამავდროულად თითოეული მათგანი ამანათია და ადამიანი მათ უნდა გაუფრთხილდეს. მთელი სამყარო ნებისმიერ წამს ღვთის გადიდების პროცესშია და ამავდროულად ღმერთმა ეს ყველაფერი ადამიანს უწყალობა. ამიტომადამიანმა უნდა დაინახოს ეს უსაზღვრო სიკეთე და თავადაც სიკე-

თით იცხოვროს. ყველა ამანათს თავისი პატრონი ყავს და ის პატრონს უნდა ჩაბარდეს. ამიტომ ყველაფერის გამო, ყველა ადამიანი უნდა განიკითხოს. ადამიანმა საკუთარი ანგარიში სიკეთის კარნახით უნდა გასწიოს და არ უნდა დაუშვას, რომ ბოროტებამ მისი ცხოვრება უარყოფითისკენ შეცვალოს.

სიკეთე მაგრამ როგორი?

ძვირფასი შუამავალი ბრძანებდა: „ყოველი სიკეთე მოწყალებაა.“ (იხ. ბუჰარი, ედებ 33) გამომდინარე აქედან სიკეთის

ყოველი სიკეთის უკან ღვთიური ძალა დგას. ის სიკეთეს ასაზრდოებს და მისი განხორციელებისათვის შესაძლებლობას უშვებს. საკმარისია, რომ ადამიანმა ღმერთს მიენდოს, მისი კმაყოფილება ეძიოს და მისთვის მონიჭებული ეს წყალობა აზრიანად გამოიყენოს.

გაკეთება და მოწყალების გაღება თანაბარი მნიშვნელობისაა. ორივე მათგანი ღვთიურ ჯილდოს იმსახურებს. ჩვენ ვალდებულნი ვართ სიკეთე გავუკეთოთ არა მხოლოდ იმათ, ვინც სიკეთე გაგვიკეთა, არამედ ყველას სიკეთით უნდა მოვეპყროთ. შუამავალი ბრძანებდა, რომ არ უნდა დავმსგავსებოდით ისეთ სუსტი ხასიათის ადამიანებს, რომლებიც სიკეთეს სიკეთით პასუხობენ და ბოროტებას ბოროტებითვე. ჩვენ სიგლახის ჩამდენთან მიმართაც კი ბოროტება არ უნდა გამოვავლინოთ. (იხ. თირმიზი,ბირ,63) სიკეთის სამაგიერო უზენაესისგან უნდა მოვილოდინოთ, რადგან სიკეთე, ისევე როგორც ყველაფერი, მისი გაჩენილია.

ყოველი სიკეთე,
რასაც გავაკეთებთ
არ დაიკარგება.
მთავარია ჩვენი
განზრახვა
გულწრფელი იყოს.
თავი დავიცვათ
ამპარტავნებისგან.
ჩვენი სიკეთის რეკლამა
ადამიანებს სახეში
არ უნდა მივახალოთ.

თუ სიკეთე ანგარებიანი გახდება და აღებ-მიცემობას დაემსგავსება, მაშინ მისი არსი შეიცვლება და სიკეთე აღა იქნება. ყურანი მოგვიწოდებს, რომ სიკეთე მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით, ანუ მხოლოდ ღვთის გულისათვის უნდა ვაკეთოთ.

„და სიამოვნებით აპურებენ უპოვრებს, ობლებს და ტყვეებს.

ჩვენ მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილების სურვილით გაპურებთ თქვენ, ჩვენ არ გვსურს თქვენგან საზღაური და არც მადლობა.

უეჭველად, გვეშინია ჩვენი ღმერთისგან იმ მოქუფრული სახიფათო დღისა!“ (ინსან 8-10)

ჩვენს წინააღმდეგ ჩადენილი ბოროტების შემთხვევაში თუ იგივეთი არ ვუპასუხებთ, ესეც სიკეთეა და ეს და ყველა სიკეთე ტყულად არ ჩაივლის. მთავარია სიკეთის დროს ჩვენი განზრახვა გულწრფელი იყოს. თავი დავიცვათ ამპარტავნებისგან. ჩვენი სიკეთის რეკლამა ადამიანებს სახეში არ უნდა მივახალოთ.

სიკეთისკენ მოგზაურობა სადა და შინაარსიანია. როდესაც ადამიანი მარჯვენა ხელით გასცემს, სასურველია მარცხენამ არ იცოდეს. ამ მეტაფორიულ გამონათქვამში იგულისხმება, რომ გაცემისას თავის მოწონება, ხმაური, რეკლამა საჭირო არ არის. ის გულწრფელად, წყნარად, შინაარსიანად უნდა გაკეთდეს. გაკეთებული სიკეთე უნდა დავივიწყოთ და არასოდეს დავაყვედროთ.

„კეთილი სიტყვა და მიტევება უკეთესია ისეთ მოწყალებაზე, რომელსაც თან ახლავს წყენა. და ალლაჰი ყოვლადმდიდარია, შემწყნარებელია“. (ბაყარა 263)

ამდენად ისეთი სიკეთე, რომელსაც წყენა ან შეურაცხყოფა ახლავს, სასურველი არ არის.

muslim georgia international charity foundation

და ბოლოს

ამბობენ: „სიცოცხლე სამი დღეა“-ო. შუამავალი ბრძანებს: „შემთხვევას მხოლოდ ვედრება შეცვლის, ხოლო სიცოცხლეს სიკეთე გაახანგრძლივებს“.

(იხ. თირმიზი, ქადერ, 6) ეს არის ამ ორი დღის სიცოცხლის „გახანგრძლივების“ ფორმულა. სიკეთის კეთების გზით ადამიანის სიცოცხლე შინაარსიანი გახდება და ამით გამოჩნდება, რომ მან დიდხანს იცოცხლა.

გაჩენილთა შორის ადამიანი დედამიწის ყველაზე მნიშვნელოვანი არსებაა. შესაბამისად უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი შესაძლებლობები და უნარები საკუთარი თავის, ირგვლივ მყოფებისა და მთელი დედამიწისთვის სასარგებლო საქმეებში გამოვიყენოთ.

ჩვენ მთელი ცხოვრება უნდა ვეცადოთ, რომ ყველა ხელსაყრელი შემთხვევა გამოვიყენოთ და მუდმივად სიკეთის კეთებისკენ, მუდმივად სიკეთის დამკვიდრებისკენ მივილტვოდეთ. გვაწუხებს რამე? გვკტივა რამე? არ მოგვწონს რამე? ჩვენ სიკეთე ვაკეთოთ. უნდა გვჯეროდეს, რომ ჩვენ მხოლოდ ამ გზით გვეშველება და სულის სიმშვიდეს მოვიპოვებთ.

ჩვენ მუსლიმები ვართ. შეიძლება ბოროტება უკვე გასცდა კონკრეტულ ლოკაციებს და გლობალურ პრობლემად იქცა, მაგრამ ჩვენ ამან არ უნდა



ყველაფერი, რაც ცასა და დედამიწაზეა ჩვენთვის წყალობა და ამანათია. ამის ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია.

დავგთრგუნოს. ჩვენ მუდმივად უნდა ვიბძოლოთ საიმისოდ, რომ კაცობრიობის ნიშანსვეტი სიკეთე იყოს. ჩვენი მიზანია ბოროტების სიკეთის გზით დამარცხება და ისევ და ისევ სიკეთის კეთება. სიკეთის კეთებით, კეთილი ზრახვებით, კარგი ქცევით ჩვენ უნდა გვჯეროდეს, რომ ეს შავი ღრუბლები გაიფანტება და ნათელი დაისადგურებს. ჩვენ მუდმივად უნდა შევინარჩუნოთ იმედი, რომ დედამიწაზე სიკეთის კეთებისას ცის კარები შეიხსნება და ღვთიური წყალობა არ მოგვაკლდება.

შუამავალი ბრძანებს: „ვისაც სიკეთს გაკეთება უხარია და ბოროტების ჩადენა აწუხებს, ის მორწმუნეა“. (იბნ ჰანბელ, 4/399) იყო მორწმუნე ნიშნავს, რომ სიკეთე გაბედნიერებდეს, ამიტომ მუდმივად ვაკეთოთ სიკეთე, დიდი თუ პატარა, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო, რადგან სიკეთე სიკეთეა და ის ყოველთვის მნიშვნელოვანია. ჩვენ ყველა ჩვენი შესაძლებლობა ამ მიმართულებით უნდა წარვმართოთ, რათა ირგვლივ სიკეთემ და მშვიდობამ დაისადგუროს.

ადამიანს სიკეთე ამშვენებს. ადამიანის სული სიკეთით იკვებება. როგორც

მუსლიმებს სხვა რა მიზანი უნდა გვქონდეს თუ არა ვიყოთ უფრო კარგი ადამიანები, ვაკეთოთ უფრო მეტი სიკეთე და ჩვენი ამქვეყნიური საქმენი მეტი მადლითა და სიკეთით ავავსოთ. განა ჩვენი მოვალეობა, ღვთის ბრძანებისამებრ, სიკეთის კეთება და ბოროტებისგან შორს დგომა არ არის?

ამრიგად, ჩვენ უნდა გვერდზე გადავდოთ ლოგიკა, რომლის თანახმადაც ბოროტებას ბოროტებითვე პასუხობენ. ჩვენ ყველას მიმართ სიკეთე უნდა ვაკეთოთ, მიუხედავად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სახის კუთვნილებისა. ოჯახის წევრებიდან დაწყებული ყველას მიმართ კეთილგანწყობა და თბილი დამოკიდებულება უნდა შევინარჩუნოთ. ბავშვებს სიკეთე უნდა ვასწავლოთ. კარგი მაგალითები მივცეთ და ჩვენი გარჯა ამ მიმართულებით დავხარჯოთ. სიკეთე ზიანს არასოდეს მოიტანს.

ნათესავი, მეზობელი, კოლეგა, ვინც არ უნდა იყოს, ჩვენგან სიკეთეს უნდა ხედავდეს. საზოგადოება სიკეთესაა მოწყურებული, დაე, ჩვენით გაიხაროს. ჩვენ სიკეთე უნდა ვაწარმოოოთ, და-

ვაგროვოთ და ყველას გავუნაწილოთ. ამავდროულად ღმერთს უნდა ვევედრებოდეთ: „ღმერთო, ამ ქვეყნად სიკეთე მოგვმადლე, საიქიოშიც სიკეთე გვიწყალობე და ჯოჯოხეთის წამებისგან დაგვიფარე“. (მუსლიმ, ზიქირ, 26)

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity